ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო — რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№3 (36) მარტი, 2005 წელი — ფასი 30 თეთრი

ქალი – სიცოცხლე და გაზაფხული

სილამაზის სფერო არის უდიდესი პოემა კაცობრიობისა, რადგან ადამიანი მართლაც და მშვენიერი სახეებით უნდა ცხოვრობდეს. ამ სილამაზის, მშვენიერების ერთ-ერთი მემკვიდრე დედა, და, მეუღლე–ზოგადად ქალია. „ქალი სიცოცხლე და გაზაფხული, ქალი–სილამაზე, სიყვარული“.

ქალია ის ერთადერთი, რომელსაც გაზაფხულთან გაბასებაც, ღიმილისა და სითბოს უხვად გადმოფენაც, ცისარტყელის გამოფენაც შეუძლია, ამასთან მხოლოდ მას ძალუძს უცებ ცხრაკლიტულში ჩაიკეტოს, მარტის ამინდს დაემსგავსოს მისი გული.

თეთრი ფანტელი ჩვეული სიჯიუტით აჭიანურებს დატოვოს ცოდვილიანი მიწა, მაგრამ სულში გაზაფხული შემოდის, არც კი გახსენდება ზამთარში გათოვდა თუ არა, თითქოს ბაღი ყოფილა დანალმული ისე გადაივლის კვირტთა სკდომის ხმა ხეებს... „მაინც იხატება მწვანე კონტურები... მწვანე აბლაბუდა იბლანდება...“ მოდარაჯე თვალს არ აშორებ გაზაფხულს სილამაზეს, ხანდახან ჩითის კაბას რომ უფრიალებს ქარი... ეს სილამაზე ატყვევებს ირგვლივ ყოველივეს, თავისი უძლეველი სიამითა და ნეტარებით... მას ყველა განუსაზღვრელად ემორჩილება. ამ სილამაზის აღქმა მხოლოდ ტლანქ ნატურალიზმს არ შეუძლია.

ქართველი ქალი... ქართველი დედა... ეს ხომ განსაკუთრებული რანგია...

ქალურ სილამაზეს, კდემამოსილებას პლუს დედობის წმინდა მოვალეობა... გაზაფხულთან გაიგივებული ქალი წელიწადის ამ დროს განსაკუთრებული ყურადღების პატივსცემის, საგანი ხდება...

რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, (დირექტორი ციცო სადილიანი) გაზაფხულის ეს ლამაზ დღეს ამ მიზნით შეკრიბეს ახალგაზრდა მრავალშვილიანი დედები, სხვადასხვა საკრებულოდან მოწვეულებიც მრავლად იყვნენ. რაიონის გამგებლის ბატონ თამაზ ქარსელაძის ინიციატივითა და მხარდაჭერით კიდევ ეს ლამაზი საღამო უძღვნეს ქალბატონებს. ლონისძიებაში სარაიონო კულტურის სახლი (დირექტორი დარეჯან სალინაძე) მონაწილეობდა, მათ ხომ საოცრად ლამაზი, თბილი, სიტყვები, ლექსები, სიმღერები აჩუქეს ქალბატონებს.

ახალგაზრდულ საქმეთა რაიონულმა განყოფილებამ (თამარ ჭაბუკიანი) ჩვეული სიურპრიზი მოაწყო ამ დღესაც და რამდენიმე ქალბატონს, რომელთაც უძლურებაში შვილები ჰყავათ, ფულადი დახმარება გადასცა.

რაიონის გამგებელმა მთელი რაიონის ქალბატონებს მიულოცა ეს დღე და ლონისძიებაში მონაწილე ყველა ქალბატონს საჩუქარი გადასცა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ძვირფასო ქალბატონებო გაზაფხულის შემობრძანებას! გაზაფხულის ფერთა სიკასკასე, ხიბლი არასოდეს დაგეკარგოთ და „დედაშვილობამ, მეტს არ გთხოვთ, კვლავ ზარდეთ ბრძენიც, მხედარიც ... მხნედ არის გული ხალხისა, თუ გული თქვენი მხნედ არის“.

ეკატერინე ბენდელიანი

ქალი – სიცოცხლე და გაზაფხული,
ქალი – სილამაზე, სიყვარული,
ქალი – უბედობა, სიხარული,
ქალი – სევდიანი, სინანული,
ქალი – თავნება და თვინიერი,
ქალი – შუშხუნა და ღვინიერი,
ქალი – ამიერი, იმიერი,
ქალი – ერთგული და საცოდავი,
ქალი – თამარი და ერისთავი.
ქალი – რუსთაველის საოცარი
ქალი – ნაღდი გულის სამუდარი,
ქალი – ოჯახის ბურჯი,
ქალი – ვაჟკაცის ურჩი,
ქალი – კეკლუცი და მზარეც,
ქალი – ცხრა უღელი ხარი,
უნდა მოეფერო ასეთ საგანძურს$
ქვეყნად ვერ იპოვი ასეთ საოცარს!

„განცდა თვისთა ცოდვათა“

„მიუახლოვდით ღმერთს და მოგიახლოვდებათ, გაისუფთავეთ ხელები ცოდვილნო და განიწმინდეთ გულები ორგულნო... დაიმდაბლეთ თავი უფლის წინაშე და აღგამაღლებთ თქვენ“—გვარიგებს მოციქული და ამ სიტყვებს მართლმადიდებელი ადამიანი განსაკუთრებით გრძნობს დიდ მარხვაში. დიდი დღესასწაულის შესახვედრად მომზადება სულიერ განწმენდას ნიშნავს, ამ დროს ადამიანი ცდილობს განშორდეს მიწიერ საზრუნავებს, ვნებებსა და ცოდვას, თავის სულსა და მომავალზე ფიქრს იწყებს.

ვფიქრობ, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ თუ როგორ ემზადებოდნენ ქრისტიანები დიდი მარხვისათვის. ოცი საუკუნის წინ, ეგვიპტელმა ბერებმა ამ დღეს შენდობის დღე უწოდეს. უდაბნოში მოღვაწე ბერები ერთად იკრიბებოდნენ, ერთმანეთს პატიებასა და შენდობას სთხოვდნენ, შემდეგ აღდგომის საგალობლებს გალობდნენ და ცალ-ცალკე უდაბნოში გადიოდნენ, სადაც დიდ მარხვას განმარტოებულნი ლოცვაში ატარებდნენ. ეს საოცარი წესი დღესაც სრულდება ტაძრებში, ამ დღეს ჩვენ ერთმანეთს ცოდვების შენდობას ვთხოვთ, ოღონდ უდაბნოში კი არ მივდივართ, არამედ საკუთარ სულიერ სამყაროში შევდივართ ღვთისა და საკუთარი თავის უკეთ შესაცნობად.

დღეს, როცა ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის განსაკუთრებით იგრძნობა, როცა ადამიანს გონება დაებინდა და ერთმანეთისაგან ველარ არჩევს სიკეთესა და ბოროტებას, მხოლოდ უფალსა და მის მადლს შეუძლია ამ ბურუსიდან ადამიანის გამოფხიზლება. დღეს ჩვენ გონიერი და მოსიყვარულე გული გვჭირდება, ისეთი გული, როგორიც ჩვენს წინაპრებს ჰქონდა, მაგრამ ჩვენს შორის განსხვავება ისაა, რომ ჩვენს წინაპართა მაღალ ზნეობას ჭეშმარიტი სარწმუნოება ედო. მათი რწმენა იმდენად მტკიცე და ცოცხალი იყო, რომ გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანისათვის უკანასკნელი ლუკმის მიცემა შეეძლოთ. ერთადერთ გზა, რომელიც გადაგვარჩენს, არის სინანული ანუ „განცდა თვისთა ცოდვათა“. ეს სიტყვებიც ჩვენ არასწორად გვაქვს გაგებული. მართალია, გვაქვს „განცდა ცოდვათა“, ოღონდ სხვათა ცოდვათა. ჩვენ გვახასიათებს სხვისი ცოდვების დანახვა, განცდა, საკუთარისა კი არა. ხანდახან ისე ვბრმავდებით, რომ ჩადენილი ბოროტებითაც ვამაყობთ. ტალახში ამოსვრილი მარგალიტი გარეცხვისა და გაწმენდის შემდეგ ისევ გაბრწყინდება, ასევეა ადამიანის სულიც, რაც არ უნდა მძიმე ცოდვებში ვიყოთ ჩაფლული, თუ წამოსადგომად ძალას მოვიკრებთ განიწმინდები, სიკეთითა და სათნოებით გაბრწყინდები.

ცოდვა ძირითადად ორი სახისაა, ერთი, რომელსაც ჩვენ თვითონ ჩავდივართ და მეორე—რომელსაც სხვისი განკითხვით ვიძენთ, ამიტომაც დიდ მარხვაში დაწესებულია ყოველდღე ვთქვათ ეფრემ ასურის ლოცვა, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა“. დიდ მარხვაში საკუთარ ცოდვები უფრო ღრმად უნდა განვიცადოთ. ადამიანი მუდამ დაკავებულია, თუ უშუალოდ საქმეს არ აკეთებს, ფიქრი აწუხებს და საშუალებას არ აძლევს საკუთარ გულში ჩახედვისა და იმ სულიერი ტაძრის დაკვირვებისა, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ან ვაშენებთ, ან ვანგრევთ. ადვილი შესაძლებელია, რომ ადამიანმა, რომელიც ამ ტაძარს მრავალი წლის მანძილზე აშენებდა, უცბად მის დანგრევას მიჰყოს ხელი. დიდი მარხვის სამრეკლოს ზარები კი განუწყვეტლივ რეკენ, რათა ეს ტაძარი შეუსვენებლად ვაშენოთ. ამ მარხვაში (ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს) სრულდება პირველშეწირულის ლიტურგია, სადაც წირვის პროცესში მოძღვარი სანთლით ხელში გამოდის ხალხის წინაშე და ამბობს: „ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“– ადამიანი, უპირველესად ამ ნათლის ხილვის, ხოლო შემდეგ მისი მიღების ღირსი უნდა გახდეს. ჩვენი სულიერი ტაძარი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ ეს ხელთუქმნელი, ღვთაებრივი ნათელი მასში შევიდეს და დაივანოს. ამ ნათელს ნანგრევები არ უნდა დავახვედროთ. ამის მიღწევა მართალია ძნელია, მაგრამ სწორედ ეს არის ჩვენი ცხოვრების აზრი და მიზანი, ჩვენი ცხოვრება ტაძრის აშენებისთვის ბრძოლას წარმოადგენს.

საინტერესო იქნება ერთი მაგალითი, რომელიც ერთ-ერთ მონასტერში მოხდა. ერთი ბერი ისე მძიმედ დასნეულდა, რომ მისი გადარჩენის იმედი ყველამ დაკარგა. წინამძღვარმა იცოდა, რომ იგი ძმობის ერთ-ერთ წევრთან უბრად იყო. ამიტომ ეს ბერი მომაკვდავთან მიიყვანა და წინადადება მისცა შერიგებულიყვნენ, რათა იმ ქვეყანას ძმასთან შეურიგებელი არ წასულიყო. სნეულზე წინამძღვრის სიტყვებმა ისე იმოქმედა, რომ თუ მანამდე განძრევაც კი არ შეეძლო, წამოიწია კიდეც, რათა დაუბრებულისათვის თაყვანი ეცა და შერიგებოდა. ამ უკანასკნელმა კი შერიგებაზე უარი განაცხადა და თქვა, რომ მომაკვდავს არც ამქვეყნად და არც იმქვეყნად არ შეურიგდებოდა.

ეს სიტყვები დაამთავრა თუ არა, სულიც განუტევა. ბერებს უხილავთ, იქ მყოფ ანგელოზთაგან ერთ-ერთმა მთავარანგელოზმა ძმასთან შერიგების უარმყოფელი როგორ დალახვრა შუბით.

აქედან დასკვნა ერთია: ადამიანს, რომელსაც არ გააჩნია „განცდა ჲ თავისთა ცოდვათა“ ვერც სხვას შეუნდობს.

სანამ ჯერ კიდევ გვაქვს შესაძლებლობა სულის გადარჩენისა, ვეცადოთ ოდნავ მაინც განვიცადოთ მაცხოვრის მიერ განვლილი უმძიმესი წამების გზა, რათა დიდი სულიერი სიხარულით შევეგებოთ დღესასწაულთა-დღესასწაულს_ბრწყინვალე აღდგომას და ვღაღადებდეთ: „გუშინ შენ_თანა ჯუარს ვეცმოდი ქრისტე, და თანა აღვსდგები დღეს აღდგომასა შენსა, გუშინ შენთანა დავიფლოდი, შენ მადიდე სასუფეველსა შენსა“.

მასალა მოამზადა
ეკატერინე ბენდელიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ „თანამდებობა ჩემთვის პრივილეგია ნამდვილად არ არის“..

ნინო კოპალიანი დაიბადა 1964 წლის 28 ოქტომბერს. 1981 წელს დაამთავრა ცაგერის არჩილ ვიქორის ძე გელოვანის სახელობის საშუალო სკოლა. 1982 წელს ჩააბარა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 1987-88 წლებში მუშაობდა აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოში ეკონომისტად. 1988-1999 წლებში აგრომრეწვბანკში. 2005 წლამდე არის ცაგერის რაიონის გამგეობაში წამყვანი სპეციალისტი ეკონომიკის დარგში. 2005 წლის 1 თებერვალს დაინიშნა „სახალხო ბანკის“ ცაგერის ფილიალის მმართველად. პარალელურად ითავსებს პედაგოგის ფუნქციას.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

–მოგილოცავთ ამ თანამდებობაზე დანიშვნას. თქვენ დიდი გამოცდილება გაქვთ ამ სფეროში მუშაობისა, ზოგჯერ თანამდებობა პრივილეგიაა. თქვენთვის რას ნიშანს? ხომ არ დაგეხვდათ მეტი სიძნელეები ვიდრე ელოდით?

–უპირველესად, დიდ მადლობას გიხდის თქვენ და თქვენს გაზეთს მობრძანებისათვის, ყურადღებისათვის. გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს. დაგეთანხმებით, ათი წლის მუშაობის გამოცდილება მაქვს საბანკო სფეროში რამდენიმე წელი სხვა სამსახურში გახლდით და ახლა, ღვთის ნებით, ისევ დავბრუნდი ჩემს საყვარელ კოლექტივში, სადაც დიდი სიყვარულით მიმიღეს. ბანკი ის ადგილია, სადაც 22 წლის ასაკში მოვედი. აქ გავიზარდე, ჩამოვყალიბდი, როგორც ეკონომისტი, როგორც პიროვნება. რაც შეეხება თანამდებობას, ეს ჩემთვის ნამდვილად არ არის პრივილეგია, ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა ჩემი ხალხის, ოჯახისა და პიროვნების მიმართ. მინდა, ჩემი საქმიანობა ისე წარვმართო, რომ ერთი კარგი და სახელოვანი ფურცელი ჩაიწეროს ჩემს ბიოგრაფიაში, ასევე ბანკის ისტორიაში.

სიძნელეებს რაც შეეხება, ჩემი წინარმორბედისაგან ისეთი ორგანიზებული და ფინანსურად აწყობილი სამსახური ჩავიბარე, რომ არსებული სიძნელეები ადვილი დასაძლევია. რამდენიმე სიტყვა მინდა გითხრათ ზვიად ჭაბუკიანზე, რომელზედაც ცაგერის სახალხო ბანკი ფეხზე დააყენა თავისი ნიჭით, პრინციპულობით, შრომისმოყვარეობით, მინდა ლეჩხუმმა იცოდეს, ზვიადის სახით ჩვენს კუთხეს განათლებული, ერუდირებული პიროვნება ჰყავს.

–რამდენი თანამშრომელი გყავთ?

–ს.ს. საქართველოს სახალხო ბანკის ცაგერის ფილიალში 6 თანამშრომელია. აგრეთვე გვყავს დაცვის ოთხი მუშაკი და 16 გამსვლელი მოლარე.

–რა საბანკო ოპერაციებს ითავსებს თქვენი ბანკი?

–ჩვენი ბანკი ახორციელებს ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირთან ნაღდ და უნაღდო ანგარიშსწორებას. (მხედველობაში მაქვს ვისაც ჩვენთან ანგარიშები აქვს გახსნილი). ოპერაციებს სწრაფ გზავნილებზე (ანელიკი, კონტაქტი, მინიგრამი და ა.შ.) ახალი დანერგილი გვაქვს მომსახურება პლასტიკური ბარათებით (ძირითადად სახელფასო ბარათები) და მომსახურება დეპოზიტებზე.

–ძირითადად ვისზე ვრცელდება თქვენი მომსახურების სფერო?

–ჩვენი მომსახურება, ძირითადად, ვრცელდება ჩვენს რაიონში განლაგებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე. ასევე გარკვეული სახით ვემსახურებით მეზობელი რაიონის მოსახლეობასაც.

–თქვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრობლემები?

–რაც შეეხება ჩვენს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნდა გითხრათ, რომ ჩვენ გვაქვს კომპიუტიზირებული სისტემა, ელ. ფოსტა, რომლითაც ჩართული ვართ ერთიან საბანკო სისტემაში, ეს უკვე ყველაფერზე მეტყველებს. ჩვენი შენობა თითქმის ერთი საუკუნის არის, საკმაოდ მყარად ნაგები შენობაა, რომელიც კოსმეტიკურ შელამაზებას მოითხოვს და მალე ამ საქმესაც მოვაგვარებთ.

–თქვენ, როგორც ეკონომისტს, პირველ რიგში, რა მიგაჩნიათ, ჩვენი რაიონის ამაღორძინებელ პრიორიტეტად?

–მე, როგორც ეკონომისტს, მიუხედავად მცირემინიანი და რთული რელიეფის მქონე რაიონის აღორძინებისთვის პრიორიტეტს მივანიჭებდი სოფლის მეურნეობის განვითარებას. განსაკუთრებით მეხილეობას და მევენახეობას, რასაც მოჰყვება გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების ამუშავება.

–ხელფასების დავალიანება თითქმის დაიფარა, გაიზარდა პენსია, მაგრამ ქვეყანა ისევ მძიმე სოციალურ პირობებში იმყოფება. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

–დაგეთანხმებით, დღევნადელმა ხელისუფლებამ შეძლო ამ მძიმე პრობლემის მოგვარება, გაორმაგდა პენსიები, გაიზარდა ხელფასები ბევრ სფეროში, მაგრამ სოციალური პრობლემები მანამ იარსებებს, სანამ არ გამყარდება ფულის მსყიდველობითი უნარი. ეს კი მაშინ მოხდება, როცა საქართველოში აღორძინდება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა. ისინი გამოიმუშავებენ მზა პროდუქციას, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება ბაზარზე. შემცირდება უმუშევართა რიცხვი, ეს კი გამოიწვევს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მოსახლეობაზე განეული მომსახურების ხვედრითი წილის ამაღლებას, აქედან გამომდინარე ამაღლდება ცხოვრების დონე.

–როგორია თქვენი მუშაობის პრინციპი?

–ჩემთვის მთავარია სამართლიანობა, არ ვუღალატო მონდობილ საქმეს, პატიოსნად ვემსახურო ჩემს კუთხეს.

–რა სიახლეები გაქვთ, როგორც ხელმძღვანელს სამომავლოდ?

–მინდა ჩემი საქმიანობა ისე წარვამართო, ჩვენი ფილიალი „საქართველოს სახალხო ბანკის“ სისტემაში ერთ-ერთი წარმატებული ფილიალი იყოს, ყოველდღიურად ავამაღლოთ მომსახურების კულტურა და მოვიზიდოთ რაც შეიძლება მეტი კლიენტი. დავიცვათ მათი ინტერესები და ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

– რა თვისებები მიგაჩნიათ ხელმძღვანელისთვის საჭიროდ?

–პირველ რიგში აუცილებელია პატიოსნება, პროფესიონალიზმი, ინტელექტი, ორგანიზატორული ნიჭი და ადამიანებთან ურთიერთობის დიდი კულტურა.

–რომელი უფრო მეტს მოითხოვს ოჯახი თუ სამსახური? ხომ არ გიძნელდებათ ერთმანეთის შეთავსება?

–ორივე თანაბრად მოითხოვს ყურადღებას. არც სამსახურში და არც ოჯახში არ შეიძლება ყურადღების მოდუნება. ოჯახი ადამიანის სახეა, მით უფრო–ქალისთვის. ჩემი მიზანია ვიყო ერთგული მეუღლე, კარგი დედა და მეგობარი. ოჯახში ძალიან მიწყობს ხელს მეუღლე და დედა.

–ქალი და გაზაფხული განუყრელი მცნებებია, რასთან ასოცირდება ეს პერიოდი თქვენთან?

–გაზაფხული ჩემში ასოცირდება ახალი სიცოცხლის დაწყებასთან, სილამაზესთან, ადამიანების სიყვარულთან. გაზაფხული ქალივით ჭირვეული და ცვალებადია, ამის მაგალითად წლევანდელი გაზაფხულიც კმარა.

–გმადლობთ! წარმატებებს გისურვებთ.

ეკა ყვირილიანი

ლეჩხუმელ ხელი მოგვიმართოთ!

ის ვინც ამ ბოლო დროს საქართველოს სპორტულ ცხოვრებას თვალს ადევნებს და გაზეთ „სპორტის“ მასალებს ეცნობა, უთუოდ შენიშნავდა ჩვენი თანამემამულის, წარსულში ცნობილი სპორტსმენის ამჟამად პარლამენტარის ბატონი **ვალერი გიორგობიანის** უდიდეს მონდომებასა და წვლილს ამ ფრიად მნიშვნელოვანი და საშური საქმის ქართული სპორტის განვითარების საქმეში.

ჩვენ წინ გვიდევს გაზეთ ქართული „სპორტის“ ერთ-ერთი უახლესი ნომერი, სადაც ჟურნალისტი დავით ცაბაძე აღნიშნავს: „ამ ცოტა ხნის წინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის მორიგი კონფერენცია ჩატარდა, სადაც ითქვა, რომ ქართული ფეხბურთის საჭირბოროტო საკითხებზე მალე მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრები იგეგმებოდა. მეორე დღეს კი ასეთი აუდიენცია მართლაც შედგა. შეხვედრაზე მმართველი პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სპორტის სამსახურის უფროსი, პარლამენტარი ვალერი გიორგობიანი, პროფლიგის გენერალური მდივანი რევაზ დორთქიფანიძე და ბრეს-ატაშე პაატა ბურჭალიანი მობრძანდნენ. მოგვიანებით შეხვედრას სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური შეუერთდა.

აუდიენციაზე პარლამენტარი გიორგობიანი და დეპარტამენტის შეფი ნამგალაური პროფლიგის სტრუქტურასა და პრობლემებს გაეცნენ, ნაციონალური მოძრაობა, სპორტის დეპარტამენტი და სპორტისა და კულტურის სამინისტროც ჩაერთვებიან. ნებისმიერ საჭირბოროტო საკითხს საერთო ხედვით უნდა მივუდგეთ. ჩვენ ერთი გუნდი ვართ და სინქრონულად უნდა ვიმოქმედოთ. პროფლიგასთან და ფეხბურთის ფედერაციასთან რეგულარული შეხვედრები გვექნება. გვინდა, უმოკლეს ხანში კლუბის პრეზიდენტებს, მწვრთნელებს, ფეხბურთელებს შევხვდეთ, დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ რეგიონებში ფეხბურთის განვითარებას. ფეხბურთმა და სპორტმა მხოლოდ დედაქალაქში არ უნდა იარსებოს. აუცილებელია, კლუბებში წილი სახელმწიფოსაც ჰქონდეს. ამისი ნათელი მაგალითებია ხორვატია, ბალტიისპირეთის ქვეყნები, სერბეთი... თუნდაც ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი. სახელმწიფო ფეხბურთსა და საერთოდ, სპორტს კანონპროექტებითაც და სხვა მხრივაც გვერდში უნდა დაუდგეს...“

ამ გაზეთის გამოსვლიდან არაც ისე დიდი დროა გასული, ბატონი ვალერი ინტერვიუში თავის ნათქვამ სიტყვას––„რეგიონებსაც ხელი უნდა შევუწყოთო“. – მსწრაფლ ასრულებს და ცაგერის რაიონს მოჭიდავეთათვის ესოდენ საჭირო ნივთს––ტატამს უგზავნის, თანაც ორს ერთად და როცა ფასიც შევიტყვეთ––(10.000 დოლარი 1 ცალის ღირებულება) გაკვირვებულებიც დავრჩით, რამეთუ ეს არცთუ მცირედი საჩუქარია ლეჩხუმის სპორტის მომავლისათვის

როგორც ბატონი პარლამენტარისაგან შევიტყვეთ, ამ და სხვა სახის საუბარი არა ერთ საჭირბოროტო თემას შეეხო. შეხვედრამ საათნახევარი გასტანა. შემდეგ „სპორტი“ სტუმართა პოზიციით დაინტერესდა:

ვალერი გიორგობიანი (პარლამენტის წევრი): „დღეს არაერთ საჭირბოროტო საკითხზე ვისაუბრეთ. ეს ის პრობლემებია, რომლებიც ფეხბურთსა და საერთოდ, ქართულ სპორტს აწუხებს. პროფლიგის ამ პრობლემების ქაღალდზე გადატანა და მისი მოსაგვარებელი გზების ძიება შევთავაზეთ. ბუნებრივია, ამ საკითხში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, სპორტის დეპარტამენტი და სპორტისა და კულტურის სამინისტროც ჩაერთვებიან. ნებისმიერ საჭირბოროტო საკითხს საერთო ხედვით უნდა მივუდგეთ. ჩვენ ერთი გუნდი ვართ და სინქრონულად უნდა ვიმოქმედოთ. პროფლიგასთან და ფეხბურთის ფედერაციასთან რეგულარული შეხვედრები გვექნება. გვინდა, უმოკლეს ხანში კლუბის პრეზიდენტებს, მწვრთნელებს, ფეხბურთელებს შევხვდეთ, დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ რეგიონებში ფეხბურთის განვითარებას. ფეხბურთმა და სპორტმა მხოლოდ დედაქალაქში არ უნდა იარსებოს. აუცილებელია, კლუბებში წილი სახელმწიფოსაც ჰქონდეს. ამისი ნათელი მაგალითებია ხორვატია, ბალტიისპირეთის ქვეყნები, სერბეთი... თუნდაც ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი. სახელმწიფო ფეხბურთსა და საერთოდ, სპორტს კანონპროექტებითაც და სხვა მხრივაც გვერდში უნდა დაუდგეს...“

სპორტული ინვენტარის რესპუბლიკაში შემოტანა უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის, ბატონი **მიხეილ სააკაშვილის** დამსახურება და ძალისხმევაა, ხოლო ჩვენზე ბოძებული საჩუქარი უშუალოდ **ვალერი გიორგობიანის** შემდეგ ჩვენ ამ საჩუქრების დედაქალაქიდან ჩამომტანს, ცაგერის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ გოგი კვირკაშვილსაც დავუკონტაქტდით და დავაზუსტეთ ინფორმაცია. მისგან შევიტყვეთ, რომ „თურმე ჩვენზე დიდ რეგიონებს ერთი ცალი ტატამი ხვდა წილად. ჩვენ კი ბატონი ვალერის ძალისხმევით ორი და უდიდესი მადლობლებიც ვართო“. აქედან ერთი ცალი ცაგერის სპორტდარბაზში მოთავსდა, მეორე კი ლაჯანის სკოლა-ინტერნატში, სადაც ბატონ პარლამენტარს ლეჩხუმის სპორტის განვითარებისათვის კიდევ უფრო შორსმიმავალი გეგმები ჰქონია.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

მარინა სვანიძე

ზეიმი საბავშვო ბიბლიოთეკაში

ცაგერის სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკაში დედის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი გაიმართა, სახელმწოდებით „უპირველესად დედა, უპირველესად ქალი!“

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის მოწიფავე მკითხველები, ცაგერის საშუალო სკოლის და ბაგა–ბაღების აღსაზრდელები, საღამოს წამყვანი გახლდათ ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლე გიორგი საღინაძე, მან მიულოცა ყველა ქალს ეს დღე და აღნიშნა, რომ „ტრადიციულად, სხვათაგან განსხვავებით ქართველი კაცი ოდითგანვე პატივისცემით იყო განმსჭვალული ქალის მიმართ, არსად და არასოდეს, არცერთ სხვა ქვეყანაში ქალი არ ყოფილა პატივდადებული და დაფასებული, როგორც საქართველოში“...

ამის შემდეგ პატარები ერთმანეთს ცვლიდნენ ლექსით თუ სიმღერით, ტიტინით გვილოცავდნენ ამ მართლაც და ლამაზ დღეს. ისინი საკმაოდ კარგ გარემოში ეზიარებიან წიგნს, ყურადღებას იქცევს კედლებიდან მომზირალი მწერლების სურათები, ზღაპრების გმირები, რომლებიც თითქოს გაცოცხლებას ელოდებიან, მოვლილი და კარგად შემონახული, საკმაოდ ძველი წიგნები, ყვავილები... რაც უდაოდ, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის, ქალბატონ ლალი ფანჯარაძის და მისი თანამშრომლების დამსახურებაა, რომლებიც გულით და სიყვარულით ეკიდებიან თავიანთ საქმეს.

ეს ლამაზი ზეიმიც მათი საჩუქარია ჩვენთვის, ზეიმი, რომლის უშუალო ორგანიზატორი ბიბიოთეკის ლარბაზის გამგე ლეილა სვანიძე გახლავთ, რომელმაც ბოლოს მოგვილოცა ეს დღე. მას მხარში უდგნენ ბიბლიოგრაფი მანანა საღინაძე, ბიბლიოთეკარები მაია გუგავა, ირინა გასვიანი, მხატვარი ნატო საღინაძე, ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარი თამარ ტვილდიანი, მუსიკალურ გაფორმებაში კი–გულნაზ გოლეთიანი, რომელმაც თავადაც შეასრულა დამსწრეთათვის სიმღერა და რა თქმა უნდა, მთავარი ბიბლიოთეკის გამგე ლალი ფანჯარაძე გახლდათ, რომელიც ძალას არ იშურებდა, რათა ღონისძიება ლამაზი გამოსულიყო.

დასასრულს, პატარებს ბიბლიოთეკის თანამშრომლები ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ, თუმცა არამარტო პატარებს, არამედ მოწვეულ სტუმრებსაც, რომლთა შორის თანამშრომლებთან ერთად ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი, ქალბატონი ციცო სადილინიც იმყოფებოდა, რომელმაც პატარების შემოქმედებაზე და ბიბლიოთეკის მუშაობზე დიდი კმაყოფილება გამოთქვა.

ჩვენც მადლობას ვუხდით მასპინძლებს ამ მშვენიერი დღისათვის.

თამარ დავითულიანი

ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავისათვის

სისხლიანი გზებით

2005 წელს ჩვენს პლანეტაზე ზეიმით აღინიშნება დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების და მეორე მსოფლიო ომის დასრულების დიდი ისტორიული თარიღი. მეორე მსოფლიო ომი ჰიტლერულმა გერმანიამ 1939 წელს პოლონეთზე თავდასხმით დაიწყო. ომის ხანძარი მთელ დასავლეთევროპას, ჩრდილოეთ აფრიკისა და აზიის ვეებერთელა სივრცეებს მოედო, რომელშიც 100 მილიონზე მეტი ჯარისკაცი მონაწილეობდა უზარმაზარი მატერიალური ნგრევა გამოიწვია, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დიდი სამამულო ომი მეორე მსოფლიო ომი შემადგენელი ნაწილია, იგი ჰიტლერის ავანტიურის შედეგად 1941 წ. 22 ივნისს გაჩაღდა.

1933 წელს, ხელისუფლებაში მისვლისთანავე ჰიტლერმა რევანშისათვის საომარი მზადება დაიწყო. მისი პირველი მსხვერპლი ავსტრია და ჩეხოსლოვაკია იყო. სულ მოკლე დროში ვერმახტის ბატონობის ქვეშ მოექცა თითქმის მთელი დასავლეთ ევროპა. ჰიტლერს ამ დროისთვის უკვე შემეშავებულ ჰქონდა ე.წ. „ბარბაროსას" გეგმა, რაც ითვალისწინებდა სსრ კავშირზე მოულოდნელ თავდასხმას, სამ-ოთხ კვირაში მისი სამხედრო ძლიერების განადგურებას. ისარგებლა რა საბჭოთა ქვეყანასთან დადებული თავდაუსხმელობის პაქტით, გერმანია მუხანათურად, დაესხმა თავს საბჭოთა კავშირს. 22 ივნისს, დილის ოთხ საათზე საზღვარს, რომელიც ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე გრძელდებოდა, თავს დაატყდა გრიგალისებური ცეცხლი ჰაერიდან, ხმელეთიდან, ზღვიდან, პირველსავე საათებში დანგრეული და მწყობრიდან იქნა გამოყვანილი სასაზღვრო სიმაგრეები, თავდაცვის ზღუდეები, ათობით საბრძოლო თვითმფრინავმა ჰაერში ასვლა ვერ მოასწრო. სატანკო კოლონები ღრმად შეიჭრნენ ქვეყნის სიღრმეში. ბრძოლა უთანასწორო პირობებში მიმდინარეობდა. წითელმა არმიამ უზარმაზარი დანაკარგი განიცადა. ასიათასობით მეომარი დაიღუპა, კიდევ მეტი ტყვედ ჩაიგდო მტერმა...

ჰიტლერული არმიები ოქტომბრის დამლევს მოსკოვის გარეუბნებამდე მივიდნენ... მეორე წელს, შემოდგომაზე ვოლგასთან გაიჭრენ. თითქო ყველაფერი დაკარგული იყო, მაგრამ ქვეყანას მხსნელად მოევლინა იოსებ სტალინი, რომლის რკინისებურმა ნებისყოფამ, სამხედრო სტრატეგიის ღრმად ცოდნამ, უზარმაზარმა პოლიტიკურმა ალღომ, თავგანწირვამ, დასახული მიზნის მისაღწევად სტალიგნრადის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, გადამწყვეტი გარდატეხა შეიტანა. ეს იყო დასასრულის დასაწყისი. შემდეგ იყო კურსი, ორიოლი და... ძლევამოსილი შტურმი ბერლინზე, რაიხსტაგის თავზე გამარჯვების დროშის აღმართვა. რა თქმა უნდა, გამარჯვების გადაწყვეტი ფაქტორი საბჭოთა მეომრები, უნიჭიერესი სარდლები იყვნენ. დამთავრა სამამულო ომი. მალე შეიარაღებული ძალების შენაერთები გადასროლ იქნენ შორეულ აღმოსავლეთში.

მოკავშირეების დასახმარებლად. ბრძოლებში გამოწრთობილმა ჯარებმა გაანადგურეს კვანტუნის არმია. იაპონიამ ხელი მოაწერა უსიტყო კაპიტულაციასაც. დასრულდა მეორე მსოფლიო ომი.

ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის წინაალმდეგ ომებში საქართველოდან 700 ათასი კაცი მონაწილეობდა, ჩვენი რაიონიდან—7 ათასზე მეტი: ერთ სტატიაში წერილში შეუძლებელია ყველა ლეჩხუმელ მეომრის ღვაწლის წარმოჩენა, აქ მხოლოდ მათი უმცირესი ნაწილის სახელებს თუ მოვიხსენიებთ, რომლებმაც ღირსეულად მოიხადეს მოქალაქეობრივი ვალი ქვეყნის წინაშე. ჩვენ ვამაყობთ მათი გმირობით.

არჩილ ვიქტორის ძე გელოვანი სპათაგორში დაიბადა, ბავშვობა იქ გაატარა, საქართველოში დავაჟკაცდა. ბრწყივანვალე შემოქმედებითი საბრძოლო გზა განვლო. იყო სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, საინჟინრო ჯარების მარშალი. მისი სახელი მინიჭებული აქვს ბევრ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებას. არჩილ გელოვანის ძეგლი აღმართულია თბილისში ვაჟა ფშაველას პროსპექტზე. დაჯილდოებული იყო თექვსმეტი ორდენით და მრავალი საბრძოლო მედლით.

გენერალ-მაიორი **გიორგი გაბრიელის ძე ყურაშვილი**—ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავარი, მისი სარდლობით 242-ე და 214-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიებმა ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს სამამულო ომის ისტორიაში, გიორგი ყურაშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორი, წითელი დროშის ოთხი, სუვოროვის შრომის წითელი დროშის ორდენებით, მრავალი საბრძოლო მედლით.

ნაკურალეშელი ამბაკო ერისტოს ძე გოლეთიანი, ავიაციის პოლკოვნიკი ერთ-ერთ საჰაერო ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა, რის გამოც აუკრძალეს ფრენა. სახლში დაბრუნებულმა, ოჯახში თუ რაიმე ნივთი ჰქონდა, გაყიდა. მოიშველია ახლობლები, მეზობლები, შეიძინა საბრძოლო თვითმფრინავი და ისევ ფრონტს მიაშურა. მისი ესკადრილია ანადგურებდა ფაშისტთა ჯარების ცოცხალ გულს და სამხედრო ობიექტებს. მგზნებარე პატრიოტი ოცდაერთი ორდენით და საბრძოლო მედლებით გამარჯვებულ დაუბრუნდა სამშობლოს.

ბრძოლების სახელოვანი გზა განვლო ლასურიაშელმა **გრიგოლ ივანეს ძე კანაჩაძემ.** საბრძოლო ნათლობა სამურაებთან ბრძოლაში მიიღო. სამამულო ომში მისმა 342-ე დივიზიამ დიდი ზარალი მიაყენა გერმანელებს მოსკოვის მისადგომებთან, ბრიანსკის და ბალტიისპირეთის ფრონტებზე. მხედრული მამაცობისათვის დააჯილდოვეს ლენინისა და სამი წითელ დროშის ორდენით, მრავალი საბრძოლო მედლით.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე (კოტე) მამარდაშვილის დივიზიამ, რომლის კომისარი თავად იყო, ბრძოლებით გაიარა უკრაინა, ბელორუსია. მონაწილეობდა რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში, ბერლინის აღებაში. დაჯილდოვებული იყო ლენინის, სამი წითელ დროშის, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენებით, თერთმეტი მედლით.

ლაჯანელი გვარდიის უფროსი სერჟანტი **პლატონ სილაგაძე** მამაცურად იბრძოდა სტალინგრადის ფორნტზე, თავი გამოიჩინა კურსკისა და ბრიანსკის გრანდიოზულ ბრძოლებში. ბერლინამდე სდია მტერს. მიღებული აქვს წითელი ვარსკლავის, დიდების მეორე და მესამე ხარისხის ორდენები. მრავალი საბრძოლო მედალი. ვაჟკაცურად ებრძოდა დამპყრობლებს და გამარჯვება ბერლინში იზეიმა. დაჯილდოებულია წითელი ვარსკლავის, დიდების პირველი და მეორე ხარისხის ორდენებით მრავალი მედლით.

სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო ცაგერელმა **კონსტანტინე ალექსის ძე სილაგაძემ.** საარტილერიო გათვლამ, რომელსაც მეთაურობდა არაერთხელ გამოიჩინა თავი ჩრდილო კავკასიაში, უკრაინაში, რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით, ორი მედლით „მამაცობისათვის", სხვა მედლებით. მიღებული აქვს მხედართავრის ათი მადლობა.

ნაკურალეშელმა **დავით ყურაშვილმა** თავი გამოიჩინა ჩრდილო კავკასიის ფრონტზე, როსტოვთან, მინსკთან, ბრესტთან გამართულ ბრძოლებში, რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში. დაჯილდოებულია ორი ორდენით და შვიდი მედლით. მიღებული აქვს უმაღლესი მხედართმთავრის მადლობა.

ჩხუტელელი **აკაკი ლავრენტის ძე მურცხვალაძე** ვაჟკაცურად ებრძოდა მტერს დნეპრის გადალახვის და კიევის განთავისუფლებისათვის, პოლონეთის მიწა-წყლიდან ფაშისტური ურდოების გასადევნად. ბერლინის აღების შემდეგ მისი ნაწილი გადასროლილ იქნა შორეულ აღმოსავლეთში კვანტუნის არმიის წინაალმდეგ. წითელი ვარსკლავის, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებით, 7 საბრძოლო მედლით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა სამშობლოს. ფაშისტ დამპყრობლების წინაალმდეგ გააფთრებულ ბრძოლებში გამოჩენილი თავდადების და მამაცობისათვის ორდენებით და მედლებით დაჯილდოვდა: **ლაილაშელი ვარლამ კაჭკაჭაშვილი, ტვიშელი რაფიელ ლომთაძე, ლაჯანელი შალვა დავითულიანი, მახაშელი ბენო სილაგაძე, ლესინდელი სერგო სილაგაძე,** ექიმები: **ვილიამ გოლეთიანი, ილარიონ ჩიქოვანი, იროდი ნემსაძე, გიორგი ყურაშვილი,** ცაგერიდან: **ილარიონ სალინაძე, შოთა ჩხეტიანი, შოთა ხეცურიანი, რამინ გულბანი, ალვიდან არსენ ხეცურიანი, ალპანიდან ბიკენტი ალავიძე, დეხვირელი იროდი ახვლედიანი, ორბელელი შალვა ბურჯალიანი, ჩხუტელელი ვარლამ დაშნიანი, ლვირიშელი კონსტანტინე ირემაძე, ნასპერელი აკაკი ირემაძე, ცხუკუშერიდან გრიგოლ სვანიძე, ჟორესი სვანიძე, უცხერელი ვლადიმერ უჩაძე, ლაილაშელი გიორგი უჩაძე, ალპანელი ინდისი ფრუიძე, ოყურეშელი თეოფანე ყურაშვილი, ორხველი შოთა ჩაკვეტაძე, ალველები გალაქტიონ ჩხეტიანი, არსენ ხეცურიანი, ისუნდრელ ენუქი ჩაკვეტაძე. დეხვირელი ვასილ ჭაბუკიანი, ლვირიშიდან სანდრო და დავით ხეცურიანები, ალვიდან დავით ხეცურიანი, ალპანიდან რაფიელ და ისიდორე ჯანაძეები, ლვირიშიდან ბუხუტი ხეცურიანი.**

გერმანელი დამპყრობლებისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის თავი გამოიჩინეს, საბრძოლო მედლებით დაჯილდოვდნენ და ი.ბ. სტალინისაგან მადლობა დაიმსახურეს ბარდნალელმა **გერონტი თუთისანმა, ალექსანდრე ნემსწვერიძემ, იორამ ჩარკვიანმა, შოთა ხაბულიანმა,** ცაგერელებმა: **სევარიონ მუშკუდიანმა, გრიშა გიორგის ძე სალინაძემ, ვლადიმერ ხეცურიანმა, მიშა მურცხვალაძემ, გრიგოლ ახვლედიანმა, გალაქტიონ ლიპარტელიანმა ვარლამ კოპალიანმა, ვლადიმერ თოთაძემ, გვესოელმა ბუჭუ ბიქტორ ცვარიანმა, ცაგერელმა ვარლამ კოპალიანმა.**

ქვ. ცაგერიდან დავით ლიპარატელიანმა, ალექსანდრე ბენიძემ, რუბენ ბაქრაძემ, გრიგოლ ლეთოდიანმა, შალვა მდივანმა, ნაკურალეშელმა გიორგი გიორგის ძე გოლეთიანმა, აქსენტი სვანიძემ, ქვედა ცაგერელმა კოლია ხვადაგინმა, დეხვირელმა დიომიდე ჭაბუკიანმა, ისუნდრელმა ვალიკო ჩაკვეტაძემ, ლაილაშელმა გრიგოლ ჩაჩხიანმა, საირმელმა ვანო ალავიძემ, ტვიშიდან არჩილ ახვლედიანმა, ალველმა შიო ახვლედიანმა, ორბელიდან გალაქტიონ ბურჯალიანმა, ლაილაშელმა თეოფანე კაჭკაჭაშვილმა ისუნდრელმა ვარლამ ლიპარტელიანმა, სპათაგორელმა აკაკი მახარობლიძემ და სხვებმა. სამწუხაროდ, ყველა დაჯილდოებული მეომრის წარმოჩინება არ ხერხდება.

გერმანელ დამპყრობლების წინაალმდეგ გააფრთებულ ბრძოლებში ბევრი ქართველი პარტიზანი იბრძოდა. სამხედრო ტყვეთა ბანაკები გაფანტული იყო გერმანიის მიერ ოკუპირებულ ქვეყნების ტერიტორიაზე (პოლონეთი, საფრანგეთი, იტალია, იუგოსლავია და ა.შ.) ბევრმა ქართველმა ვაჟკაცმა მოახერხა ბანაკებიდან გაქცევა და შეუერთდნენ ადგილობრივ პარტიზანებს. გერმანელი ოკუპანტების წინაალმდეგ ფრანგი პარტიზანების მხარდამხარ იბრძოდნენ ზოგიშელი ივანე ხვადაგიანი ორხველი გერასიმე კენჭაძე. პოლონელ პარტიზანებს გვერდით უდგნენ შალვა კიმოთეს ძე გოგებაშვილი, ტვიშელი იორამ ჩაკვეტაძე, გერასიმე ცხვედიანმა 14 საბრძოლო ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა იტალიელ პარტიზანებთან ერთად.

სამამულო ომის ფრონტებზე 30 ათასი ქართველ ქალი იბრძოდა. მათ შორის იყვნენ ჩვენი რაიონის ქალი მეომრები: ლასურიაშელი **დოდო ახვლედიანი,** ბერლინის აღების მონაწილე—ფერშალი, **თამარ დარსაძე.** საზენიტო ქვემეხის მემიზნე, **ჟენია მამარდაშვილი**—ექთანი, ისუნდრიდან, **მარიამ მუშკუდიანი** ოყურეშიდან, საზენიტო არტელირიის პოლკის კომისარი. **ბერტა ყურაშვილი**—სტალინგრადის ბრძოლების მონაწილე დღეს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი. **ქეთევან ურუშაძე** ჩხუტელიდან—ექთანი, ლაილაშელი **კლარა ჩაჩხიანი,** საზენიტო ქვემეხის მემიზნე **გოგუცა ჯინჭარაძე** ლაილაშიდან—საზენიტო ქვემეხის მემიზნე. ბრძოლებში გამოჩენილი თავდადებისათვის ისინი დაჯილდოებული არიან ორდენებით და საბრძოლო მედლებით.

მრისხანე მტერზე გამარჯვებას დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ჩვენი რაიონიდან ომში 7 ათასი ვაჟკაცი წავიდა. სამშობლოს მხოლოდ სამი ათასი დაუბრუნდა. მტერთან ბრძოლებში დაღუპულთა ძვლები მიმოფანტულია უზარზმაზარ ტერიტორიაზე:

გვ. 4

მადლობა სასიამოვნო წუთებისათვის

ქვედა ცაგერის სკოლას ტრადიციულად ბევრი სტუმარი ჰყავს. მასპინძლებმა—პედაგოგებმა და მოსწავლეებმა გაზაფხულის მობრძანებას, დედისა და ქალის დღეს ლამაზი ზეიმი უძღვნეს.

დარბაზში იების, ყოჩივარდების სურნელი და გაზაფხულის სითბო დგას. მოსწავლეები საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით მიესალმნენ სტუმრებს. ჰიმნს სიმღერები და ლექსები, მოჰყვა რომლითაც მამულს, დედასა და ქალს მოეფერენ. მათ რუსულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზეც კი მიულოცეს დამსწრეთ. მოსწავლეთა ცეკვის ანსამბლმა ქართული, აჭარული, სვანური ცეკვები წარმოადგინეს. იყო იუმორისტული ნომრებიც, პოლიტიკური პაროდიები, სახუმარო გამოსვლებიც.

ზეიმმა სასიამოვნო წუთები გვაჩუქა. მადლობა სკოლის ხელმძღვანელობას, მოსწავლეთა შემოქმედებით კოლექტივს ამისთვის.

სკოლიდან წამოსულს ასეთი აზრი გამიჩნდა: რაოდენ ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს, რა დონის და შემართების. მათ შემოქმედებას უფრო ფართო ასპარეზი სჭირდება.

მამუკა ლეთოდიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინდა მოეფერო ამ ფერებს

კალენდარული გაზაფხულის დღეა, მაგრამ...

გაავებული ქარი ღრიალით ეხეთქება ფანჯრებს, განწირული თოვლის ფიფქები აქეთ-იქით ენარცხება, ტიპიური ზამთრის სურათია გარეთ...

შიგნით, ცაგერის სურათებს გალერეაში კი ნამდვილი გაზაფხულის სითბო და განწყობა, გაზაფხულის ფერებია. ეშმაკურად „გვიღიმიან“ კედლებიდან ყოჩივარდები, ნარცისები, ღიღილო, ვარდები და სიცოცხლის კვლავ აფეთქებას გვამცნობენ.

ხალხური თვითშემოქმედების გამოფენაზე, რომელიც დედისა და ქალის დღეს მიეძღვნა, ბევრი დამთვალიერებელი მოუწვევია გალერეის კოლექტივს. 4 მშვენიერი ქალბატონის შემოქმედება გვიხმობს თავისკენ. ეს ქალბატონები გახლავან: **ლამარა ბერიძე, მალვინა მინდაძე, ლილი ირემაძე** და **ნინა ლეთოდიანი.** მათ ტილოზე დაუტანიათ თავიანთი გრძნობები და განცდა, ყოველ ნამუშევარში მათი ფაქიზი სული მოჩანს. ხასხასა ყვავილები, ფრინველები, ცხოველები, სუფრები, გადასაფარებლები ისეთი საოცარი ოსტატობითა და ტექნიკითაა ამოქარგული, ფერთა ისეთი შეზავებაა, რომ შეიძლება თამამად ვთქვათ_ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ.

ქალბატონ ლამარა ბერიძეს ნაქარგებთან ერთად ორიგინალური ჟანრი_ქსოვილზე მძივებით ნაქარგები



ჰქონდა წარმოდგენილი, ფრინველები: ფარშევანგი, ბოლოქნარა, სირაქლემა... ყოველი მისი ნამუშევარი იმდენად ნატიფი, უზადო ნახელავია, იმდენად ბუნებრივად გამოიყურება, გინდა ხელით შეეხო და მოეფერო ამ ფერებს, მოეფერო და მარჯვენა დაუკოცნო მის ავტორს, შეუერთდე მის სამყროსა და განცდებს. ეს ექსპოზიცია ნებისმიერ სამხატვრო გალერეას დაამშვენებდა.

დამთვალიერებელთა წინაშე გამოვიდნენ გალერეის დირექტორი ნათელა ღურჭუმალიძე, მეცნიერ-მუშაკი ნოდარ ნემსაძე. მუშაობის მძიმე პირობებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიუხედავად, აღნიშნეს მათ, შეეცდებიან ასეთი ღონისძიებები უფრო სისტემატური ხასიათისა იყოს; რომ, საბედნიეროდ, ჩვენს ირგვლივ არიან ხელოვანი ადამიანები, რომელთაც დანახვა, დაფასება და ჯეროვანი პროპაგანდა სჭირდებათ.

თავიანთ გამოსვლებში გაოცება ვერ დამალეს ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორმა **ნუნუ ჩაკვეტაძემ,** გამგებლის პირველმა მოადგილემ **გურამ ყურაშვილმა** და სხვებმა.

■

ჩვენებამ მოწონებით ჩაიარა, მაგრამ...

დაუშვებელია ქალაქის ამ ერთ-ერთ ორიგინალურ და სახიერ შენობას, სადაც წლების წინ პოეზიის, ლიტერატურის დღეები, შეხვედრები, არა ერთი ცნობილი მხატვრის საღამოები თუ გამოფენები იმართებოდა, სადაც დღესაც დავანებულია ხელოვნების არა ერთი შედევრი, აწვიმდეს, არ იყოს მუშაობის ელემენტარული პირობები.

P.S. მასპინძლებმა ხელოვან ქალბატონებს სამახსოვრო საჩუქრები მიართვეს.

გალერეისადმი საჭირისუფლო საუბარმა სუფრაზე გადაინაცვლა. სუფრაც ხომ ნამდვილი ხელოვნების ნიმუში იყო, გულღია მასპინძლების **ქეთევან ბერიძის, ნატო მამარდაშვილისა** და სხვათა გემოვნებით, კულტურით, ხასიათით განზავებული.

მზევინარ ძნელაძე

მათ უნდა ვიცნობდეთ!

ჩვენი რაიონის მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ ლეჩხუმელი ახალგაზრდები, ისეთივე ენთუზიაზმით და პატრიოტიზმით მსახურობენ სამხედრო-სავალდებულო ქვეგანაყოფებში, როგორც რესპუბლიკის სხვა რაიონების წარგზავნილები. მეტიც, ჩვენი ჭაბუკები დაუზარელად მიდიან ერაყის, კოსოვოსა და ავღანეთის სამშვიდობო ჯარებში.

2002 წლის 7 აპრილიდან 18 ნოემბრამდე **ავთანდილ ჯანიკოს ძე ახვდელიანი, რომეო რომანის ძე კალანდაძე** და **გოგი ინდისის ძე ხეცურიანი** მონაწილეობდნენ ანტიტერორისტულ ოპერაციებში ერაყის ქალაქ ბაკუბაში, ქართულ სამთო-მსროლელი ასეულის შემადგენლობაში.

საქართველოს ეროვნული გვარდიის ცაგერის სამობილიზაციო შტაბის მიერ 2002 წლის დეკემბერში სოფ. მახაშიდან გაწვეული იქნა **მამუკა რამინის ძე ბრდანიანი,** რომელიც 2004 წლის სექტემბრიდან 2004 წლის დეკემბრამდე მონაწილეობას იღებდა სამშვიდობო ოპერაციებში ავღანეთში ქართულ სამშვიდობო ასეულის შემადგენლობაში.

2005 წლის თებერვლიდან ერაყში ქართული ბატალიონის შემადგენლობაში მსაუხრობენ საქართველოს ეროვნული გვარდიის ცაგერის სამობილიზაციო შტაბის (ყოფილი სამხედრო კომისარიატი) მიერ საკონტრაქტო სამსახურში გაწვეული შემდეგი სამხედრო მოსამსახურეები: **ზაზა რაფიელის ძე ჩარკვიანი,** სოფ. წიფერჩი. **ზაზა ალექსანდრეს ძე კოპალიანი,** სოფ. ჭალისთავი, **მარლენ თემურის ძე სილაგაძე,** სოფ. მახაში, **ოლეგ ედემის ძე ახვლედიანი,** სოფ. აღვი. **დავით ამირანის ძე ჩაკვეტაძე,** ქ. ცაგერი, **როსტომ ანზორის ძე დავითულიანი** სოფ. ჩქუმი, **ლევან რეზოს ძე ლეთოდიანი,** სოფ. ლუხვანო.

კოსოვოში სამშვიდობო ასეულის შემადგენლოაბში, რომელსაც მეთაურობს ლეჩხუმის მკვიდრი კაპიტანი **გიორგი დადაშის ძე მეშველიანი,** მსახურობენ ცაგერის სამობილიზაციო შტაბის მიერ გაწვეული შემდეგი სამხედრო მოსამსახურეები: **კახა გრიშას ძე სვანიძე,** სოფ. მახაში, **მურთაზ ნოდარის ძე ყურაშვილი,** სოფ. მახაში, **ლადო გელას ძე ცინარიძე,** სოფ. წიფერჩი, **კახა თამაზის ძე ფუტკარაძე,** სოფ. წიფერჩი. **ლაშა სანდროს ძე მეშველიანი,** სოფ. წიფერჩი.

ეს ახალგაზრდები ჩვენი ლეჩხუმის ხვალინდელი დღე, ჩვენი სიამაყეა.

მათ სახელებს ყველა უნდა იცნობდეს!

ეროვნული გვარდიის შტაბის
უფროსი მაიორი კობა კოპალიანი

ცაგერის რაიონის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია აცხადებს აუქციონს

აუქციონზე საპრივატიზებოდ გამოტანილი იქნება ცაგერში სანაპიროს ქუჩაზე 200 კვ. მეტრი არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ღირებულებით 288 ლარი. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი „ბე“-ს ოდენობა შეადგენს 30 ლარს.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად კომსიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

„ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ნატარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმდებს სხვა პირის სახელით;

იურიდიული პირები დამატებით წარუდგენენ ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს განცხადების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში 14 სთ-დან 17 სთ-მდე, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს 17 საათზე.

მისამართი: ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №64

საუაუქციონო კომისიის სხდომა გაიმართება განაცხადების მიღების დამთავრების მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 12 საათზე, ქ. ცაგერის გამგეობის შენობაში.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე,

ცაგერის მიწის მართვისა და
განკარგვის რაიონული კომისია.

სიხხლიანი გზებით

(დასასრული)

სტალინგრადიდან ბერლინამდე, ცენტრალური ევროპის, იტალიის, საფრანგეთის მიწაზე. გარდა მცირე გამონაკლისისა, არავინ იცის სად, როდის დაეცნენ ბრძოლის ველზე, სად განისვენებენ. ან ელირსათ კი საფლავი? ამ ტრაგიკულ ბედის ადამიანების მისამართით თქვა პოეტმა ჯარისკაცმა სევერიან ისიანმა

„თუ მტერმა დამცეს
ხმალგაბასრულმა,
დარდს ნუ მოიხვევთ
ღრუბლის გუნდებად,
რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა,
მაგრამ ყველა ხომ
ვერ დაბრუნდება.“

სევერიან ისიანმა მტრის სამი ტანკი მოსპო ქვემეხით, დაიღუპა ფიცხელ ბრძოლაში ორიოლის ოლქში. კაპიტანი სამსონ ყვირილიანი ბრძოლაში გამოჩენილი ვაუკაცობისათვის სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. პოლონეთის გათავისფლებისათვის ბრძოლებში დაიღუპა ასეულის მეთაური **გერონტი ჩაკვეტაძე.** იგი წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. დეხვირელი მფრინავი **იოსებ ჭაბუკიანი** სარდლობამ წითელი დროშისა და წითელი ვარსკლავის ორდენებით დააჯილდოვა. ლიტვის მიწაში განისვენებს ოყურეშელი **გალაქტიონ უგრეხელიძე.** ყირიმის მიწაზე ვაუკაცურად იბრძოდა გვესოველი **ბენია ჩიქვანი.** ერთ-ერთი შეტაკების დროს რამოდენიმე გერმანელი ჯარისკაცი გამოასალმა სიცოცხლეს, მაგრამ გულგანგმირული დაეცა...

ჩაქრა ომის ცეცხლი. ომგადახდილები დაღლილები, დაჭრილები, მაგრამ სულით გაუტეხელნი დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებიდან 7 ათასი კაციდან ნახევარზე მეტი ომში გმირულად დაიღუპა.

ვეტერანების ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. მათ ეძლეოდათ მრავალი სახის დახმარება. მთელი რიგი პრივილეგიებით და დიდი პატივისცემით სარგებლოდნენ. ომის დამთავრებიდან 60 წელი გავიდა. ფრონტზე მიყენებულმა ჭრილობებმა, ფიზიკურმა თუ სულიერმა ტრავმამ და ასაკმა თავისი ქნა. ძალზე შემცირდა მათი რიცხვი. დღეისათვის რაიონში მეორე მსოფლიო ომის ინვალიდია 70 კაცი, მონაწილე 101, სულ ომის ვეტერანთა რიცხვი 171 კაცს შეადგენს.

სამწუხაროდ, ომის ვეტერანებისადმი ყურადღებამ ძალიან იკლო, თუ არ ვიტყვით უკანასკნელ 1-2 წელს. მათ ხომ დიდი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვების საქმეში. სწორედ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების დამსახურებაა, რომ 60 წელია პლანეტაზე მშვიდობაა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე მასშტაბის ომის კერებს). მათი ღვაწლი სათანადოდ უნდა დაფასდეს. უნდა მეტი ზრუნვა და პატივისცემა გამოვიჩინოთ მათ მიმართ. ისინი ხომ ჩვენი უკეთესი მომავლისათვის იბრძოდნენ.

შალვა ცვარიანი
ომის ვეტერანთა რაიონული
საბჭოს თავმჯდომარე

ნარკვევი

დიდო...



რაფიელ კოპალიანისა და შუქურა ქარსელაძის ოჯახს მარტის ცვალებად და ჭირვეულ დღეს ვეწვიეთ, გულიანად ბარდნიდა და ჩვენი გულღია, სტუმართმოყვარე მასპინძლები ისეთი თბილი თვალებით და ალერსიანი განწყობით შემოგვეგებენ, თოვლი ერთიანად შემოგვადნა და იმ სახლში შევაბიჯეთ, სადაც ერთ დროს... ამაზე ქვემოთ დაწვრილებით გიამბობთ, თუმც მანამ მკითხველს მინდა ვუთხრა, რომ როცა მარტის ნომერში ქალის, დედის რესპონდენტს ვარჩევდით, ყველამ ერთხმად ქალბატონ შუქურაზე შევაჩერეთ არჩევანი, თუმც თავიდანვე ვიცოდით—ეს წერილი კი არა ერთი დიდი ტკივილი იქნებოდა, ტკივილი დედისა, რომელსაც არაჩვეულებრივი ჭაბუკი ჰყავდა და ამის გამო არა მარტო თვითონ იყო ბედნიერი, არამედ ყველა, ვინც ამ ჭაბუკის, რამაზ „პეტო“ კოპალიანის“ გვერდით ტრიალებდა. ჩვენ ვიცოდით ამ ტკივილს გვერდს რომ ვერ ავუვლიდით, მაგრამ მანამ ხომ იყო ბედნიერი ოჯახის ბედნიერი დედა, მამა, ბაბუდა, პლატონ ბაბუა და კიდევ...

დღესაც ხომ დგას ძალუმად ეს ოჯახი თავისი დიდი და ჯანმრთელი გენით, ფუძძლიერი და რწმენაში გაძლიერებული.

შუქურა—ბედნიერი, ახალგაზრდა მსახიობი, დედა, რძალი, მეუღლე, ბებია და უდიდესი ტრაგედიის განცდა

„თუმცა ღრუბელი შემოევლო
შავი ქუფრი, არ შეუხრია შვილმკვდარ დედას ამაყი შუბლი“.

შემოქმედებით ოჯახში იზრდებოდა, მრავალშვილიან ოჯახში, ბაბუას ლექსების წერა ემარჯვებოდა, მამა კი როცა დედა აკვანს გადაუდგამდა, თავისი არაჩვეულებრივი ხმითა და სიმღერით პატარებს თან აჩუმებდა და თან ზრდიდა.

იგი ასე იხსენებს ახალგაზრდობას —„საბიბლიოთეკო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რაიონს დავუბრუნდი და კულტურის განყოფილებაში სამუშაოდ მისული სცენაზეც კი მოვხვდი. რაიკომის მდივნად მაშინ გიგა ჩაჩხიანი მუშაობდა და უდიდეს ყურადღებას აქცევდა კულტურისა და ხელოვნების წინსვლას. თქვენ წარმოიდგინეთ სცენაზე კაბებსაც კი თავისი ხელით გვისწორებდნენ, მახსოვს მქონდა „ფურფუშას“ როლი. ბატონი გიგა სახელით არასოდეს მომმართავდა, სულ „ფურფუშას“ მეძახდა. მთავარ როლებსაც მაძლევდნენ. მართალია, მაშინ ცაგერის დასს ჩემი ორი ბიძა, ორი ბუმბერაზი ადამიანი—გრიშა მდივანი და სევარიონ კოპალიანი ხელმძღვანელობდა, მაგრამ ნიჭიც რომ არ მქონოდა როლებს ვინ მომცემდა? ვითამაშე მთავარი და რთული როლი „ლეკის ქალში“— გულჯავარი“.

საბიბლიოთეკო საქმესთან ერთად სიმღერა ქალბატონი შუქურას ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. მთელი სიცოცხლის ძირითადი წლები სცენაზე გაუტარებია: „ვიფიქრე, როცა პენსიაში გავალ, შვილიშვილებს მაინც ვასწავლი სიმღერას-თქო, რადგან შვილებში სმენამ არ შემიწყო ხელი. ვუკრავდი ჩონგურზე, ფანდურზეც, ორივე ისნტრუმენტი წამოვიღე სახლში, გიტარაც, მოვემზადე შვილიშვილებთან ჩასაჯდომად, პატარა საოჯახო ანსამბლი მინდოდა ჩამომეყალიბებინა. მიუხედავად იმისა, რომ არცთუ დიდი ასაკი მქონდა და მუშაობა კიდევ შემეძლო, ვიფიქრე—ახალგაზრდა თაობა დაბრუნდა რაიონში, სპეციალობა მიიღეს და ცოცხზე მუშაობენ; თავი უხერხულად ვიგრძენი, მათაც ხომ უნდოდათ სამსახური. უდიდესი პატივით გამაცილეს ჩემმა ბიბლიოთეკის გამგემ თამარ ტვილდიანმა და ქალბატონმა ციცო სადილიანმა, მათი მე უდიდესი მადლიერი ვარ. ამის შემდეგ კი მტერსაც არ ვუსურვებ ჩემი სიბერის იმ დღეებს, რომელიც რამაზის დაღუპვით განვიცდე. ძნელია დედამ შვილის სიკვდილი სიგრძე-სიგანით გაიცნობიერო. არ მოვკვდით, შვილო. იმ წუთებს, როცა რამაზი სახლში შემომისვენეს, თუ გავუძლებდი არ მეგონა. საფლავის ქვაზე ვზივარ ამდენი ხანია, კიდეც მათოვს, მაწვიმს, მასველებს, ერთხელაც არ გავციებულვარ, მიკვირს, ნეტა რამაზიმ როგორ წაიღო ყველაფერი? რაფიელი ფეხზე ძლივს იდგა ტრაგედიის შემდეგ, კიდურები დაუვადდა, ახლა კი ორ გზას აკეთებს ჭალისათვიდან ცაგერის საკათედრო ტაძრამდე და წირვა-ლოცვებზე ფეხზე დგას, მამა ანტონმა შეგვიყვარა და მგონი მივაგენით ჭეშმარიტ გზას:

—უნდა წავიდე იქ, სადაც ჩემ შვილს მოვიხსენიებ, სანთელს დავუნთებ. ისეთ გარემოს, სიმშვიდეს ვერსად ნახავ- რას გავუკეთებ რამაზს უკეთესს. მამა ცოტნემ მგალობლებთან ერთად გალობა შემომთავაზა, კი, ვიცი, რომ ეს სიმღერა კი არაა, სულ სხვა რამაა—საგალობელია ღვთისადმი, მაგრამ მაპატიოს უფალმა და არ შემიძლია!...“

აი, ასე დამთავრდა ბედნიერი ქალის ახალგაზრდობის სიხარული.

ფესვები და არაჩვეულებრივი მამამთილი

პლატონ კოპალიანი ამ ოჯახის ბურჯი იყო, რძალი მას ასე იხსენებს: „თავისი ალბათ ყველას უყვარს, მაგრამ ჩემი მამამთილი იყო განუმეორებელი პიროვნება და თვითგანათლებული ერუდიტი. სიმღერა, ცეკვა, ფიზიკური შრომა, ყველაფერი ხელეწიფებოდა. ყველასთან კარგ დამოკიდებულებაში იყო. მე ისეთი ბედნიერი ქალი ვიყავი, ისეთ ბედნიერ, სტუმართმოყვარე ოჯახში მოვხვდი, რომ ბევრი ვერც ინატრებდა, ბედნიერი ახალგაზრდობის წლებიც აქ გავატარე, პლატონის გვერდით, მეუღლის, მულის, დედამთილისა და შვილების გარემოცვაში. მე დედამთილ-მამამთილისთვის სახელებით არასოდეს მიმიმართავს —„დედე“ და „მამა“—ას ვეძახდი. ეს მათ დაიმსახურეს.

პლატონი ნამდვილი ხელოვანი იყო, მეც თუ შეიძლება ასე ითქვას, ხელოვანი მერქვა და ალბათ იმიტომ ვუყვარდი განსაკუთრებულად. განუმეორებლად მღეროდა, ახლა ვჯავრობ—რატომ მაშინ არ არსებობდა ხმის ჩამწერი საშუალებები, რომ მისი იშვიათი ხმა შთამომავლობისთვის შემომენახა!

სტუმართმოყვარე იყო-თქო, გითხარით. თითქმის ყოველდღე სტუმარი გვყავდა, მაგრამ ეს ძალიან მახარებდა, რადგან ვიცოდი, რომ სიმღერა იქნებოდა, ხანდახან 4-10 საათსაც კი გრძელდებოდა სუფრა, მაგრამ ერთი და იგივე სიმღერა არ განმეორებულა. მისი შვილი და ჩემი მეუღლე—რაფიელი კი რასაც აკეთებდა ლეჩხუმური ხალხური სიმღერის აღორძინებისათვის, თვითონ გიამბობთ...

ტრადიციული ოჯახის შვილი და ოჯახის მამა—რაფიელ კოპალიანი

არაერთ თაობას ახსოვს ბატონი რაფიელი თავისი პეწიანი, მოხდენილი გარეგნობითა და ლეჩხუმური ხალხური სიმღერების ანსამბლ „შვიდკაცასა“ და „სალხინოს“ სინამდვილესთან გაიგივებული. თავისი თავმდაბლობითა და ყოველგვარი ყალბისაგან შორს მყოფი კაცის სიმართლით გვესაუბრება და ჩვენც ერთმანეთს სიამაყით ვუცქერთ —„რა ბედნიერებაა, იყო 80 წელს მიტანებული და ასეთი ხალასი გონებით, გულით, ნიჭიერებით აფასებდე წარსულს, ტკივილიც სხვაგვარი იცოდე და სილამაზის გრძნობაც არ შეგერყას.

ხალხური სიმღერის ქომაგი იხსენებს: „საქართველოში რესპუბლიკური ოლიმპიადა ტარდებოდა, მე ახალი კურსდამთავრებული ვარ და კულტურის განყოფილების ინსპექტორად დავინიშნე. ერთხელაც მთიდან დილაადრიან მოვდივარ და ცხონებული დავით კოპალიანი შემომხვდა. არადა გუნდის შეკრებაზე უნდა მივასწრო 9 საათისთვის. შაბათი დღეა და ამ დღეს 80-მდე სიმღერის მცოდნე იკრიბებოდა გუნდში. რადგან ადრიანი დილა იყო ბატონი დავითი (შესანიშნავად მღეროდა) შინ მივიპატიჟე და მამაჩემმაც გაიხარა. სუფრასთან დავჯექით და წამსვე მამას სიმღერა წამოვუწყე, მინდა, რომ რაც შეიძლება მეტი და მეტი სიმღერა მოვასმენინო სტუმარს. მამა კარგი მომღერალი იყო და სამივე ხმას უზადოდ მღეროდა. 2-3 სიმღერის შემდეგ დავითმა დიდი გუნდის შეკრებაზე წასვლა გადაიფიქრა და მე მთელი რეპერტუარის ჩამღერება შევძელი. შემდეგ წავედით კულტურის განყოფილებაში, თან დაგვიანებისთვის საყვედურს ველოდები. მართლაც რაიკომში ბატონ შოთა გასვიანთან დამიძახეს, იქ დავითიც დამხვდა და საყვედურის ნაცვლად რეკომენდაცია გამიწიეს როგორც კარგ მომღერალს. შეიკრიბა იქ შვიდი კაცი, დაერქვა „შვიდკაცა“, ეს ხდება 1948 წელს, მაგრამ როგორც ასეთი ანსამბლის სახე არ მისცემია—მოხალისეები ვიყავით. აქ იყვნენ —ალეკო გოგიძე, შოთა გასვიანი, აბელა კოპალიანი, თეოფანე გუგავა, გრიშა სალინაძე, ვალიკო კოპალიანი და მ. რაც შეეხება ანსამბლს—მხოლოდ 1949 წელში ჩამოვყალიბდით. იყო წყვეტილობებიც, მაგრამ ისევ ალვსდექით, რადიოშიც ჩავწერეთ. ხელმძღვანელი დავითი იყო. მალე ანსამბლი გაიზარდა და 12 კაცი გავხდით. „ლატარია“ შემოვიღეთ და კენჭი ვისაც შეხვდებოდა იმ თვეში იმის სახლში შევიკრიბებოდით, 6 საათიდან 12 საათამდე განუწყვეტლივ ვმღეროდით, არ ვლოთობდით, ეს ერთგვარი რეპეტიციები იყო, მთავარი ის იყო, რომ სიმღერისთვის ვიკრიბებოდით. ამ ანსამბლს შემდეგ „სალხინო“ ეწოდა, თითქმის რაიონში გამართულ ნებისმიერ ღონისძიებაში ვმონაწილეობდით. შემდეგ დავიშალეთ...

1974 წელს ისევ დამიძახეს და დავიწყეთ ინტენსიური მუშაობა, დაგვერქვა ანსამბლი „ლეჩხუმი“. 7-8 თვე ვიმუშავე. თბილისში წავედით და ტელერადიო კომიტეტშიც ჩაგვწერეს, შემდეგ მე ისევ ვტოვებ ანსამბლს და 1984 წელს ძველი მეგობრები, შემორჩენილი წევრები გრიგოლ ბენდელიანი და დავით სალინაძე ჩემთან სახლში ანსამბლის აღდგენის ინიციატივით მოდიან. ხათრი ვერ გავუტეხე მეგობრებს და შევიკრიბეთ. 32 სიმღერა დავამუშავეთ. აქედან ზოგიერთი ჩვენ გამოვიტანეთ სამზეოზე. მაგ. არის ისეთი სიმღერები, რომლებსაც მხოლოდ ზარაგულაში მღეროდნენ. ჩვენ ძირითადად ლეჩხუმურ სიმღერებს მომღერალი სოფლებიდან (საირმე, უსახელო, ოფიტარა) ვიღებდით. რადგან 20 წელი განყოფილების ინსპექტორად ვმუშაობდი, სიმღერების მოძიება თანამდებობრივად მევალებოდა.

უდიდესი ღვაწლი მიუძღვის იონა კოპალიანის დედას—ნინას, რომელიც საუკეთესო მანდილოსანი იყო, ჰქონდა აბსოლუტური სმენა და შესანიშნავი ხმა, ომის დამთავრების შემდეგ ფრონტიდან დაბრუნდა რა ჟორა კოპალიანი, შეგვკრიბა და მოსწავლეთა ოლიმპიადაზე განსაკუთრებული მონაწილეობაც მივიღეთ. იქ თურმე ქალბატონმა ნინამ ჩემი ხმა დაიჭირა, მოვიდა და ხმა ჩამიწყო, შენიშვნებიც მომცა. ერთი საგალობელიც გვასწავლა—„მერცხალო მშვენიერო“, რომელიც თითქმის აღარსად მომისმენია. ვერც ჩვენ ვმღეროდით ხშირად, რადგან აკრძალული იყო. (ეს საგალობელი დემეტრე მეფის ღვთისმშობლის საგალობელია. ავტ). შემდეგ ნინამ ყველას ხმები გააკონტროლა და დაგვარიგა. თვით იონა და ჟოზია კოპალიანები შესანიშნავად მღეროდნენ.

ერთი სიტყვით, რომ დავფიქრდები ვხვდები, რომ ეს ყველაფერი ჩემი მოწოდება იყო, რადგან თუ შინაგანად არაფერი მოდის, ვერაფერს გიშველის ვერც თანამდებობა და ვერც მწვრთნელი“.

ბატონ რაფიელს აქ სიტყვას ვაწყვეტინებთ და ლეჩხუმური ხალხური სიმღერების ხვალინდელ მომავალზე ვუგდებთ სიტყვას. იგი დინჯად და აუღელვებლად გვპასუხობს: „ახლა უკვე ვინმეს ინიციატივაზეა დამოკიდებული ეგ ყველაფერი. ჩვენ სასიმღერო აღარც ხმა გვაქვს და აღარც ასაკი. ჯერ კიდევ გასულ ივნისში [illegible] ერთად მესტუმრა ანჩისხატის ეკლესიის მგალობელი ერქვანიძე, მე მის მამას კარგად ვიცნობდი, რადგან ქ. სამტრედიაში მიქაძის ანსამბლში მღეროდა. იმ ღამით ვიმღერეთ, მან ვიდეოზე ჩაიწერა ჩვენი სიმღერები. თებერვალ-მარტში ფესტივალზე უნდა წავეყვანეთ, მაგრამ როგორც ჩანს აღარ ჩატარდა. თუმცა მას ჩემთან ურთიერთობა დღემდე არ გაუწყვეტია— საგალობელი გამომიგზავნა“.

ბატონი რაფიელი ამით წყვეტს სასიამოვნო მოგონებებს, რომლებიც მის ბედნიერ ახალგაზრდობას უკავშირდება, ცოტათი სევდიან პაუზას აკეთებს და იმ დიდ ტკივილს მიადგება—რამაზის გარდაცვალება რომ ჰქვია... „აბა, რა გითხრათ, დღესაც, ამდენი ხნის შემდეგ თბილისიდან სენაკში მიმავალი რამაზის მეგობრები ქუთაისიდან მისი საფლავისკენ გზას რომ გამოაგრძელებენ და საფლავზე რაღაც ნიშანს დატოვებენ—„ჩვენ არ დაგვ●წყებიხარო“. ეს მაცოცხლებსო“—ამბობს ტკივილისგან არგატეხილი მამა.

რამაზი, ანუ „პეტო“

წინ რამაზის მეგობრის კამელია მინდაძის წერილი გვიდევს, რომელიც მან ამ ტრაგედიის შემდეგ მოსწერა მეგობარს. „მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მაქვს ასეთი ძვირფასი მოსაგონარი, 1996 წლის 23 აპრილი, შენი მეუღლის სამეგობროში შეხვედრის დღე. ბედნიერი ვარ, რომ გიცნობდი და ამ დღეების მანძილზე სულით ატკივებული, ხორცით გვემული ვგლოვობდი შენი ლამაზი სიცოცხლის დასასრულს“.

ჩვენც ასეთი ბედნიერები ვიყავით რამაზ, როცა ჩვენს გვერდით იყავ და ასეთივე უბედურები, როცა წახვედი, გადაინაცვლე!

...ამ ოჯახში ყველაფერი რამაზის ირგვლივ ტრიალებს—თარიღები, ლხინი, ჭირი, ტკივილი. თავისი ხანმოკლე სიცოცხლით გარდაცვალებას ფერი უცვალა და დაგვიტოვა ისეთი სტრიქონები, სადაც ყველასა და ყველაფრის სიყვარულს უმღერს, რადგან სული ნათელი და ამაღლებული ჰქონდა. აბა რამ ათქმევინა სრულიად ჭაბუკს: „ჩვენი მზის სხივს და ჩვენი ზვრის ყურძენს, როდემდე უნდა ვიღებდეთ სხვისგან?“, ან... „სული ჩემი მოითხოვს აპრილს?!“, იქნება გრძნობდა-თქო დასასრულს როცა ეს სტრიქონი წავაკითხე: „შენ ჩემს საფლავზე თქმული სიტყვა ხარ“, ან „წარწერა ჩემი საფლავის ქვისა“.

კოპალიანების ოჯახში რამაზის ტრაგედიას მისი ბაბუდა ანუ ლილი მამიდა (ყველა ასე ეძახის დიდი თუ პატარა) განიცდის. რამაზიმ მას ერთი პატარა ლექსი უძღვნა და თითქოს ამით უთხრა ყველა სათქმელი, ყველა მადლობა: „სული მიწეწა ციებმა ამინდმა, ჭაბუკს ავდარი ცუდი დამიდგა, მან არ დამტოვა, მან დამამშვიდა და გავიმარჯვეთ-მე და მამიდამ!“.

შენ სიკვდილზეც გაიმარჯვე რამაზ!

ჯალაბი და მონაგარი

როცა სიტყვა მონაგარზე მიდგა ინიციატივა ისევ შუქურამ აიღო და... „ახლა, თუ ჩვენ სიცოცხლეს სიცოცხლე ჰქვია, რით შეიძლება ვსულდგმულობდეთ? შესანიშნავი რძალი დამიტოვა რამაზიმ, აი, ჩვენ მოხუცები რომ ვცოდეთ როგორ ვყავართ ხელში აყვანილები. როგორც კი სწავლა დამთავრდება, ერთი ღამესაც არ აჩერებს შინ ბავშვებს, იმ დღესვე ჩვენთან აგზავნის. ანა წელს დაამთავრებს ჯავახიშვილის უნივერსიტეტს.

გვ. 6

ლელა...

(დასასრული)

საოცრად ნიჭიერი გოგოა_თარგმნის ინგლისურიდან, წიგნიც გამოსცა, პრემიებიც აიღო. პაატა მესამე კურსზეა. საოცარი ისაა, რომ სულ მამის ხმა, ქცევა და მანერები აქვს, როცა მის ხმას გავიგონებ_„რამაზი მოვიდა!“_გამიელვებს წამიერად. მისი სითბოც აქვს_იმას როგორც შეეძლო შემოგხვეოდა და ჩაგხუტებოდა. დიდი მადლობელი ვარ ნაირასი, მან შეძლო შვილებისთვის ბებია და ბაბუა ასე შეეყვარებინა, რამაზის მწიგნობარი ადამიანები უყვარდა და ასეთ ოჯახი აქვს მას ღელს.

თამაზის ოჯახი... აი, კიდევ რა მაძლებინებს. თამაზი არაჩვეულებრივი შვილია. დედისა და მამის არანორმალური მოყვარე. მეფერება, მაგრამ, ჩემსკენ ვინმე მოსაფერებლად ხელს რომ გამოწვეს, რამაზი წარმომიდგება თვალწინ. ამიტომ თამაზი მეცოდება_თითქოს რაღაცნაირად იჩაგრება, ეკარგება დედასთან სითბო. 4 ნოემბერი ჩვენს სახლში საოცარი თარიღია_თამაზის დაბადებისა და რამაზის გარდაცვალებისა. ამ დღის ნებისმიერ დილას თამაზი თვალებით მეკითხება_რომელი აღვნიშნოთო! როცა ორივეს ვცდილობთ აღვნიშნოთ არც ერთი არ გამოგვდის. ახლა გაძრისკენ ვიბრუნე პირი და თამაზის დაბადების დღე „გამოვუნთავისუფლე“_გაძარში მიმაქვს საკურთხი. მაგრამ არა! თამაზი ისეა შებოჭილი, სახლში არასოლს აღნიშნავს დაბადების დღეს. აი, ასე მიდის ჩვენი სიცოცხლის ბოლო დღეები.თამაზის ბავშვები საოცარი გოგონები არიან. ჩემს რძალს, თამაზის მეულლეს, მანანას მადლობას ვეუბნები-ხოლმე მან ისე დაამშვენა ჩვენი სიცოცხლე. (გოგონებიდან უფროსი სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს, შუათანა ტექნიკურ უნივერსიტეტში და საკმაოდ წარმატებულადაც).

ნონა ლასურიაშს, ვასილ სვანიძის რძალია. ჩემი შვილიშვილები სვანიძეებში განსაკუთრებულები არიან_თბილები და ნიჭიერები. ჩემი სიძე_სოზარი ისე მიგვებს, ალბათ ვერც ერთი შვილი დედას ისე ვერ გაუგებდა. ერთი სიტყვით ყველასგან პატივცემულები ვართ_ოჯახის წევრებისგან, რამაზის და თამაზის მეგობრებისგან, საზოგადოებისაგან, მაგრამ ტკივილი გვაქვს დაუძლეველი_ამას ვერ შემოვუარეთ, ვერ გავუძელით!“

ამასობაში სამზარეულოში მოფუსფუსე მანანას ერთი შეკითხვა ვესროლეთ_„შუქურა როგორი დედამთილია-თქო“. „არაჩვეულებრივიო!“_გვიპასუხა და ამით ამოწურა-მისი ნაოქმელი ამ დიდ ოჯახის მართლაც დიდი დიასახლისის მისამართით, რადგან ჭან ფუ ალ, ბაბ ვენ ტუ-ამ ოჯახში ყველაფერი არაჩვეულებრივად კარგად რომ იციან_შეხვედრა, სიყვარული, პატივისცემა, გლოვაც კი, რადგან მათივე „პეტოს“ სიტყვებით რომ ვთქვათ_„აპრილი მოდის, ამწვანებს ველებს, ჩემს გულს დაკოდილს, რა გაამართლებს?“

რა გაამართლებს?

თქვენს გულებს საზოგადოების უდიდესი სიყვარული, წინაპართა ნათელი და სპეტაკი აჩრდილები, სიმღერის, ხელოვნების ტრფიალი, ქართველებს გადარჩენილი შვილები და შვილიშვილები, რამაზის ლექსები და ნათელი ხსოვნა, საგალობლები და ღმერთი უპირველეს ყოვლისა, გაამართლებს!

მარინა სვანიძე, მზევინარ ძნელაძე
ეკა ბენდელიანი

„ხვამლი“ გამარჯვებით იწყებს!

სპორტი

განახლდა ფეხბურთში ჭაბუკთა შორის ზონალური პირველობა ვიტალი დარასელიას სახელობის თასზე II წრის პირველ ტურში.

ცაგერის „ხვამლის“ ჭაბუკთა გუნდმა ქ. წყალტუბოში გასვლით შეხვედრაში 2:1 დაამარცხა გაგრის „სიხარული“ და სამი ქულა შემატა საკუთარ „ყულაბას“.

ორივე გოლი ლევან ხეცურიანმა გაიტანა. ჩვენმა გუნდმა (მწვრთნელი: პორფილე კოპალიანი) საინტერესო, დამაჯერებელი თამაში აჩვენა, რაც მომავალი წარმატებების საწინდარია.

ასპარეზობენ ფალავნები

ქ. ქუთაისში ჩატარდა ცნობილი ფალავნის აწ. გარდაცვლილი ზაურ შეყრილაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ჭაბუკთა შორის.

შეჯირებაში მონაწილეობა მიიღო რაიონის გუნდმა (მწვრთნელი ალუდა სილაგაძემ), რომელიც ლაჯანურის ხეობის მოსწავლე ახალგაზრდობით იყო დაკომპლექტებული.

ჩვენმა ჭაბუკებმა საინტერესო, შეუპოვარი ჭიდაობა უჩვენეს მრავალრიცხოვან მაყურებელს.

42 კგ. წონაში
II (მეორე) საპრიზო ადგილი მოიპოვა
თორნიკე ბურჯალიანმა
47 კგ წონით კატეგორიაში
III (მესამე) საპრიზო ადგილი წილად ხვდა კოტე ჯანაძეს.

მათ გადაეცათ შესაბამისი ხარისხის დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები.

იმედია რაიონის ჭიდაობის სკოლა მომავალშიაც ახალ-ახალი წარმატებებით გაგვახარებს.

ხსოვნა დავით ყურაშვილი

ნაკურალეშელი დავით ყურაშვილი არც ისე დიდი დროა წავიდა ამა ქვეყნიდან. იგი მშვენივრად ახსოვთ სოფელში: ომგადახდილი, მრავალჭირვარამგამოვლილი, ჭკუის საკითხავი კაცი, სოფლის მოამაგე და მზრუნველი, დიდი ოჯახის მამა და ბაბუა. დიდი სამამულო ომის მონაწილე გახლდათ: კაცურად განვლო ომის ეკლიანი გზები. ომიდან ორდენებითა და მედლებით შინ დაბრუნებულმა ისევ შრომას მოჰკიდა ხელი. გაიარა ცხოვრების დიდი გზა და ვალმოხდილმა დატოვა წუთისოფელი, დატოვა მაგალითი იმისა, როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო, გვიყვარდესერთმანეთი.

ვეტერანთა დეპარტამენტის ცაგერის
რაიონული რწმუნებული

შოთა პლატონის ძე მუშკუდიანი

გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის (მეორე მსოფლიო ომის) ვეტერანი, წითელი ვარსკვლავის, დიდების მეორე და მესამე ხარისხის ორდენების, მრავალი საბრძოლო მედლის კავალერი შოთა პლატონის ძე მუშკუდიანი, ფრონტზე 18 წლის ყმაწვილი, 1943 წელს წავიდა. სახელოვანი ბრძოლის გზა განვლო. მზვერავი ათეულის, შემდეგ ოცეულის მეთაური, სარდლობის ყველაზე რთულ საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებდა. ხუთჯერ დაიჭრა. გამოჯანმრთელებისთანავე ფრონტის წინა ხაზზე უბრუნდებოდა. საბჭოთა ტერიტორიიდან ფაშისტების განდევნისშემდეგ მონაწილეობდა პოლონეთის განთავისუფლებისათვის. სახელოვანი საბრძოლო გზა ბერლინის ქუჩებში დაასრულა.

ომის დამთავრების შემდეგ თავი გამოიჩინა როგორც პატიოსანმა, შრომისმოყვარე კაცმა, შექმნა შესანიშნავი, გამრჯე ოჯახი. დატოვა 3 შვილი, 7 შვილიშვილი და შვილთაშვილი.

შოთა მუშკუდიანის სახელს არასდროს დაივიწყებს მისი ახლობლები მეგობრები, —სამამულო ომის ვეტერანები.

ომის ვეტერანთა ცაგერის
რაიონული საბჭო

■

ქალი ტომ პლასტიკას დაჯარგავს, იგი სქესს კარგავს.

■

ფანგე ასდენმა მაისის ღამე.

(ფიციანი)

■

ნინო! სილამაზით მცხეთა გაგვიტისხე.

■

რაფომ მთვრალი? – ქალი ვარ და ამაკი მინდა ვიყო.

■

მეჭიდში საკსე მთვარეა,
შავ სამარეში – საფრთხე.

■

ჩვენს მშობლებს თვრამეტი შვილი ვყავდით. მე საქართველოს 19 შვილს ვუფლებენ. თქვენ?

(ეპიფანეა საფლავის ქვაზე)

გილოცავთ!
ბეჭან, თინიკო ძნელაძეებს

გილოცავთ თამრიკოს გაბედნიერებას. ღმერთმა გაგიმრავლოთ, შვილიშვილებით გაგახაროთ.

მზევინარ ძნელაძე,

ფურა ფგუბულიანი
ოჯახით

ვალერი გიორგობიანი და ომარ ჭაბუკიანი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
დალი ვალიკოს ასული ჩხეტიანი-ირემაძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ სოფო, მალხაზ ირემაძეებს დედამთილისა და დედის
დალი ჩხეტიანი-ირემაძის
გარდაცვალების გამო.

რომეო მანდარია, მურთაზ ჭელიძე, ვილგემ კოპალიანი, ლევან ბერიძე თანაუგრძნობენ სოფო, მალხაზ ირემაძეებს დედის და დედამთილის
დალი ჩხეტიანი-ირემაძის
გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები ნოდარ ცვარიანი, თამაზ ყურაშვილი, თემურ ახვლედიანი, ნური ხეცურიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ სოფო, მალხაზ ირემაძეებს
დალი ირემაძის
გარდაცვალების გამო.

სოსო, თემური, ბუხუ, ვახტანგ შკუბულიანები, სულიკო ყურაშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ დალი, ომარ ბურჯალიანებს მამის
სემენარ ბურჯალიანის
გარდაცვალების გამო.

რედაქტორი თამარ დავითულიანი	პასუხისმგებელი მდივანი მზევინარ ძნელაძე	სარედაქციო კოლეგია: ეკა ყვირილიანი, მარინა სვანიძე, ეკა ბენდელიანი	მისამართი: ცაგერი, რუსთაველის №47 ტელ: 22-66	გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის სს „მანდარიას სტამბაში“ ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33 ტელ: 70780, 73499